

ვებგვერდი, 19/12/2013  
სარეგისტრაციო კოდი  
120020000.10.003.017512

**საქართველოს მთავრობის  
დადგენილება №345  
2013 წლის 17 დეკემბერი ქ. თბილისი**

**საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის  
ხომალდის (კატარღის) მიერ სამართალდამრღვევი მცურავი  
საშუალების წინააღმდეგ შეიარაღების გამოყენების წესის  
დამტკიცების თაობაზე**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

**მუხლი 1**

დამტკიცდეს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის ხომალდის (კატარღის) მიერ სამართალდამრღვევი მცურავი საშუალების წინააღმდეგ შეიარაღების გამოყენების თანდართული წესი.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-3 დღეს.

პრემიერ-მინისტრი

*ირაკლი ღარიბაშვილი*

**საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის  
ხომალდის (კატარღის) მიერ სამართალდამრღვევი მცურავი  
საშუალების წინააღმდეგ შეიარაღების გამოყენების  
წესი**

**მუხლი 1**

1. ეს წესი შემუშავებულია „საზღვაო სამართლის შესახებ“ გაეროს 1982 წლის კონვენციის, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონის 65-ე და 66-ე მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის ხომალდის (კატარღის) (შემდგომში – სანაპირო დაცვის ხომალდი) მიერ მშვიდობიანობის პერიოდში

იარაღის გამოყენების წესს სამართალდამრღვევი იმ მცურავი საშუალებების (შემდგომში – დამრღვევი გემი) წინააღმდეგ, რომლებმაც დაარღვიეს საქართველოს კანონმდებლობა ან საერთაშორისო სამართლის ნორმები.

2. სანაპირო დაცვის ხომალდი იარაღს იყენებს დამრღვევი გემის წინააღმდეგ მის მიერ ძალის გამოყენების საპასუხოდ, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის შესაბამისად დამრღვევი გემის ცხელ კვალზე დევნისას, როდესაც სამართალდარღვევის აღკვეთისა და დამრღვევი გემის დაკავების ყველა სხვა ზომა ამოწურულია.

## **მუხლი 2**

1. იარაღის გამოყენების წინ სანაპირო დაცვის ხომალდის მეთაური ვალდებულია:

ა) მისცეს დამრღვევ გემს საერთაშორისო პრაქტიკით დადგენილი სიგნალი გასაჩერებლად იმ მანძილიდან, რომელიც შესაძლებლობას აძლევს აღნიშნულ მცურავ საშუალებას, დაინახოს ან გაიგოს ეს სიგნალი;

ბ) დევნის პროცესში საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული სიგნალის მიცემის გზით გააფრთხილოს დამრღვევი გემი, რომ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მის წინააღმდეგ გამოყენებული იქნება ცეცხლსასროლი იარაღი;

გ) გამაფრთხილებელი გასროლა შეასრულოს ისე, რომ გამოირიცხოს როგორც დამრღვევი გემის, ასევე ამ რაიონში მყოფი სხვა მცურავი და საფრენი აპარატების დაზიანება;

დ) გამაფრთხილებელი გასროლის და არსებული ვითარების შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს უშუალო უფროსს ან ოპერაციის მართვის საკომანდო პუნქტს (ცენტრი).

2. თუ გამოყენებული სიგნალებისა და გამაფრთხილებელი გასროლის მიუხედავად, კანონდამრღვევი გემი არ ემორჩილება ბრძანებას „გაჩერდი“ და ცდილობს მიმალვას, სანაპირო დაცვის ხომალდის (კატარღის) მეთაური დამრღვევი გემის სვლის შესაჩერებლად ახორციელებს გასროლას დაზიანების მიზნით.

3. დამრღვევი გემის დაზიანების და შესაბამისად მისი შეჩერების მიზნით გასროლა უნდა განხორციელდეს გემის კორპუსის იმ ნაწილში, რომელშიც ნაკლებია ადამიანთა დაზიანებისა და დაღუპვის ალბათობა.

4. დამრღვევი გემის წინააღმდეგ, როგორც გამაფრთხილებელი, ასევე დაზიანების მიზნით შესრულებული გასროლა ხორციელდება სანაპირო დაცვის ხომალდებზე არსებული სტაციონარული (საბორტე) ქვემეხიდან ან ტყვიამფრქვევიდან, რომლის დასამონტაჟებლად არსებობს შესაბამისი მოწყობილობა და განსაზღვრული ადგილი.

5. დამაზიანებელი გასროლის წინ დამრღვევი გემის კაპიტანს კავშირგაბმულობის საშუალებით უნდა ეცნობოს, გემის რომელ ნაწილში (ნაკვეთური) განხორციელდება დამაზიანებელი გასროლა და მიეცეს რეალური დრო ეკიპაჟის წევრების მითითებული გემის ნაწილიდან (ნაკვეთური) გასაყვანად.

**მუხლი 3.** დამრღვევი გემის დაზიანების მიზნით იარაღის გამოყენების შესახებ ნებართვას სანაპირო დაცვის ხომალდის მეთაური იღებს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ოპერაციების მართვის სამმართველოს უფროსისაგან, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – ოპერაციების მართვის სამმართველოს უფროსის მოადგილისაგან.

**მუხლი 4.** დევნის პროცესში, როდესაც დამრღვევი გემი თავისი მოქმედებით (სახიფათო მანევრები, გემიდან ცეცხლსასროლი ან ავტომატური იარაღის გამოყენება) საფრთხეს უქმნის სანაპირო დაცვის ხომალდს ან მისი ეკიპაჟის წევრების სიცოცხლეს, სანაპირო დაცვის ხომალდის მეთაური უფლებამოსილია დაუყოვნებლივ გამოიყენოს იარაღი.

**მუხლი 5.** იარაღის გამოყენება აკრძალულია:

ა) დამრღვევი გემის მიმართ, თუ გარანტირებული არ არის მოცემულ რაიონში მყოფი სხვა გემებისა და საფრენი აპარატების უსაფრთხოება (გარდა აღნიშნული წესის მე-4 მუხლში ასახული გარემოებებისა);

ბ) იმ სამგზავრო დანიშნულების მცურავი საშუალების მიმართ, რომელსაც გადაჰყავს მგზავრები ან გადააქვს საშიში (ადვილადააღებადი, ფეთქებადი, რადიაციული, ქიმიური და სხვ.) ტვირთი;

გ) თევზსაჭერი, აგრეთვე იმ სხვა სარეწი გემების, რომლებიც აწარმოებენ რეწვას (ზღვაში ჩაშვებული აქვთ თევზსაჭერი მოწყობილობა), და სხვა მცურავი საშუალებების მიმართ, რომლებიც სანაპირო დაცვის ხომალდს არ უწევენ შეიარაღებულ წინააღმდეგობას და არ ცდილობენ მიმალვას.

**მუხლი 6.** სანაპირო დაცვის ხომალდის მიერ დამრღვევი გემის წინააღმდეგ იარაღის გამოყენების ყველა შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უშუალო უფროსს, საქართველოს პროკურატურას სასაზღვრო პოლიციის უფროსის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ხოლო უცხო ქვეყნის სამართალდამრღვევი მცურავი საშუალების შემთხვევაში, აგრეთვე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.